ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი რუსუდან რუხაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი სოფიო გიორგაძე

ასოცირებული პროფესორი ნინო თევზაძე

ასოცირებული პროფესორი ნათია გუჯაბიძე

ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტი

ასოცირებული პროფესორი თამარ გიორგაძე

ასისტენტ-პროფესორი მაია გაგუა

ასისტენტ-პროფესორი სოფიო ჭინჭარაძე

ასისტენტ-პროფესორი თამუნა გვიანიშვილი

ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტი

ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრა დაარსდა 1919 წელს. კათედრის გამგეები იყვნენ პროფესორები: ნიკოლოზ კახიანი(1919-1921), ალექსანდრე ნათიშვილი (1921-1930), სიმონ საყვარელიძე (1930-1969), თამარ დეკანოსიძე (1969-1973), ნოდარ კალანდაძე (1973-1976), ცინარა გაჩეჩილაძე (1976- 2000), 2001 წლიდან დღემდე კათედრას (შემდეგ - დეპარტამენტს) ხელმძღვანელობს პროფესორი რუსუდან რუხაძე.

დაარსებიდანვე ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა მიკროსკოპული პრეპარატების დამამზადებელი ლაბორატორიის ჩამოყალიბებისათვის. პროფ. ს. საყვარელიძის მიერ შეიქმნა სახელმძღვანელოები ჰისტოლოგიურ ტექნიკასა და ემბრიოლოგიაში. 1970 წელს პროფ. ც. გაჩეჩილაძის თაოსნობით შეიქმნა ჰისტოქიმიური ლაბორატორია. 1975 წელს პროფ. ნ. კალანდაძის დიდი ძალისხმევით ჩამოყალიბდა ელექტრონული მიკროსკოპიის ლაბორატორია. წლების მანძილზე კათედრის კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო სხვადასხვა ფუნქციური მდგომარეობის პირობებში ქალის რეპროდუქციული სისტემის ორგანოების სტრუქტურულ- ფუნქციური თავისებურებების შესწავლა. 2003 წელს პროფ. რ. რუხაძის მიერ შეიქმნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო ჰისტოლოგიაში, რომლის მეორე განახლებული და შევსებული გამოცემა განხორციელდა 2009 წელს. 2004 წლიდან კათედრაზე დაინერგა სწავლების ახალი - ვირტუალური მიკროსკოპიის მეთოდი.

2007-08 წ.წ. დეპარტამენტში ათვისებულ იქნა კვლევის იმუნომორფოლოგიური მეთოდი. დღეისთვის დეპარტამენტის კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება სხვადასხვა ორგანოში უჯრედული ციკლისა და აპოპტოზის ასაკობრივი თავისებურებების კვლევაა.